ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №31

21 ნოემბერი 2022 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
16:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, ირაკლი ნადირაძე, ანა გოგოლაძე,საბა ბუაძე,აკაკი ალადაშვილი.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის მოადგილე -ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ (15.11.2022; 12-032231961-03)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.(საკრ.№15-032232066-03; 11-01223202913 16,11.2022წ)
3. ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.003 და N81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(საკრ.№12-032231448-03 10.11.2022წ)
4. ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(საკრ.№12-032231448-03 10.11.2022წ)
5. ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში მდებარე 20.57 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (საკრ.№12-032231410-03 10.11.2022წ)
6. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N39-ში მდებარე 74.47 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.022.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (საკრ.№12-032231410-03 10.11.2022წ)
7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032231410-03 10.11.2022წ)
8. ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის" (ს/ნ: 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (საკრ.№12-032231449-03 10.11.2022წ)

9. ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლების IIა მიკრორაიონის კორპუსი N23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.17.02.001.661 და N01.17.02.001.662) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (საკრ.№12-032232161-03 18.11.2022)
10. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N110-ში მდებარე 63.73 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.004.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (საკრ.№12-032232161-03 18.11.2022)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ."

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე

გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ

.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 1,438,775,2 ათასი ლარით, რაც 2022 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 1 305,418,2 ათას ლარს, გაზრდილია 133,357,0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 1,383,675,2 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

გადასახადები 838,867,6 ათასი ლარი

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 588,867,8 ათას ლარს.

საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 208 000,0 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 24,158,7,0 ათასი ლარით);

ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 26,000,,0 ათასი ლარი.(2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 2,766,10 ათასი ლარით);

მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი.

გრანტები 314,962,2 ათასი ლარი

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 407,2 ათასი ლარი (2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისათვის)

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555,0 ათასი ლარი. (გადამდებ დაავადებატა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის).

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი-270,000,0 ათასი ლარი.

სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 44 000,0 ათასი ლარი (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად 7 000,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 9 000,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 20 000,0 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 000,0 ათასი ლარი).

სხვა შემოსავლები 229,845,4 ათასი ლარი, მათ შორის:

შემოსავალი საკუთრებიდან – 11284,8 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 60 000,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000,0 ათასი ლარი;

სანქციები (ჯარიმები და საურავები) 67 000,0 ათასი ლარი;

სხვადასხვა შემოსავლები – 26 560,6 ათასი ლარი.

ჯამში სხვა შემოსავლები 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 57 262,2 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 1,154,820,1 ათას ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 98 465,6 ათასი ლარით. საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 170 334,1 ათასი ლარი, პროცენტი 20 583,0 ათასი ლარი, სუბსიდიები 590 300,0 ათასი ლარი, გრანტები 471,5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 136 053,3 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 138 612,4 ათასი ლარით, მათ შორის ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

არაფინანსური აქტივების ცვლილება

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 190 610,7 ათას ლარს, მათ შორის:

არაფინანსური აქტივების ზრდა – 245 610,7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება – 55 000,0 ათასი ლარი.(მათ შორის საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან 5 000,0 ათასი ლარი,არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდიან 4 000,0 ათასი ლარი, შემოსულობა არამწარმოებელი აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 46 000,0 ათასი ლარი)

ფინანსური აქტივების ცვლილება

ფინანსური აქტივების ცვლილება (100,0 ათასი ლარი)

ფინანსური აქტივების კლება – 100,0 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება

2023 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (38 344,4) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებაა.

2021 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განსაზღვრულია 38 244,4 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 438 775,2 ათას ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 415 096,4 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 223 813,7 ათასი ლარი;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 169 251,7 ათასი ლარი;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა -1 879,5 ათასი ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 688,3 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 144 160,7 ათასი ლარი;

განათლება - 224 917,8,0 ათასი ლარი;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 43 031,4 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 436,8 ათასი ლარი.

ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 171 490,9 ათასი ლარი.

წარმოდგენილი საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ტყემალაძემ,ანა გოგოლაძე, საბა ბუაძემ,ლევან ჟორჟოლიანმა.

იარკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ და ფრაქციამ. კომისიაში წარმოდგენილია ყველა მუდმივმოქმედი კომისიის და ფრაქციის: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის", შენიშვნები და წინადადებები 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით და დეტალურად გააცნო მათ.

აქვე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მანდატის ფარგლებში პარტია „ანა დოლიძე-ხალხისთვის" ინიციატივით, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ფრაქცია „ლელო პარტნიორობა თბილისისთვის", ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის", და დამოუკიდებელი წევრის დავით ფარცვანიას მონაწილეობით, შეიქმნა დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის სამუშაო ჯგუფი და მათ მიერ წარმოდგენილია საერთო ოპოზიციური დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნულის გაცნობის შემდეგ,წინადადებით მიმართა კომისიის წევრებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, თანდართულ კომისიებისა და ფრაქციების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით დაუბრუნდეს ქალაქის მერს, რასაც დაეთანხმა კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

კენჭისყრაზე დადგა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაბრუნება ქალაქის მერთან, კომისიაში წარმოდგენილი ყველა ფრაქციის და კომისიის შენიშვნებთან და რეკომენდაციებთან ერთად.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაბრუნდეს ქალაქის მერთან, კომისიაში წარმოდგენილი ყველა ფრაქციის და კომისიის შენიშვნებთან და რეკომენდაციებთან ერთად.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი -ლევან მიქავა.

ლევან მიქავას მოხსენებით, თბილისის მასშტაბით დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენის სამუშაობის გამო პროგრამის „საინჟინრო ნაგებობეისა და ინფრასტრუქტურის ობოექტების მშენებლობა, აღდგენა-რეკონსტრქუცია და სხვა კაპიტალური ხარჯები" (პროგ.კოდი 02 01) წლიურ გეგმას აკლდება 1 000 000 ლარი და ემატება „კეთილწმოყობის საქალაქო ღონისძიებები" (პროგ.კოდი 02 09 01). იზრდება ასვე პროგრამის „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა" (პროგ.კოდი 08 05) წლიური გეგმა 220 000 ლარით, დაბალანსება ხდება პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი" (პროგ.კოდი 08 09) შესაბამისად შემცირებით. აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია წლის დასაწყისიდან სამსახურში შემოსული პროექტებისა და განცხადებების განსაკუთრებით დიდი რაოდენობით.მ.შ. წინასაახალწლო ღონისძიებების დაფინანსების მოთხოვნით, თუმცა სამსახურს შესაბამის პროგრამაში საკმარისი რესურსი არ გააჩნია. გარდა ამისა 2022 წლის 15-18 დეკემბერს იგეგმება პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება, რისთვისაც საჭიროა თეატრს დამატებით გამოეყოს 24975 ლარი. დაბალანსება ხდება პროგრამის „სახელოვნები განათლების ხელშეწყობა" (პროგ.კოდი 08 02).

მომხრე-9

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კულტურის,განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო **საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, და მე-4 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი ქონების საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.003 და N81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქი N1-ში (საკადასტრო კოდები: N81.03.17.003 და N81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.
წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (2 პირს (2 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები კერძოდ: მაია კურატაშვილი პ/ნ 13001012633 - დაკავებული ფართი - 57.49 კვ.მ და სხვენი 27.53 კვ.მ; დავით მანჯავიძე პ/ნ 21001029349 დაკავებული ფართი - 54.47 კვ.მ და სხვენი 27.06 კვ.მ აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 166.55 კვ.მ. შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ მაია კურატაშვილი 2007 წლიდან ხოლო დავით მანჯავიძე 2002 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე;

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქი N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, (6 პირს (6 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ მიერ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები კერძოდ: გელა ახალაძე (პ/ნ 01016010876) - დაკავებული ფართი - 54.14 კვ.მ; დავითი ლევანიშვილი (პ/ნ 22001018451) დაკავებული ფართი - 28.80 კვ.მ; ვალერიანი მჭედლიშვილი პ/ნ 40001002413 - დაკავებული ფართი - 53.96 კვ.მ; მანანა მაისურაძე (პ/ნ 12001056882) დაკავებული ფართი - 47.07 კვ.მ; გიორგი იარალიშვილი (პ/ნ 01016009924) - დაკავებული ფართი - 55.03 კვ.მ; თამაზ შოშიტაშვილი (პ/ნ 40001022210) დაკავებული ფართი - 71.44 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 256.30 კვ.მ. შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ გიორგი იარალშვილი თამაზ შოშიტაშვილი - 1994 წლიდან, გელა ახალაძე, დავითი ლევანიშვილი 1998 წლიდან, ვალერიანე მჭედლიშვილი 1999 წლიდან, მანანა მაისურაძე 2007 წლიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში მდებარე 20.57 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141, სართული 4-ზე მდებარე 20.57 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.16.08.008.02.503) პირდაპირი განკარგვის

ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლევან ჭანტურიას (პ/ნ: 51001001545). მოქალაქე ლევან ჭანტურია შსს-ს ცნობით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფერმწერთა - 2020"-ის ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N39-ში მდებარე 74.47 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.022.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N39, 1 სართულზე მდებარე 74.47 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.022.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ჯამბული კუპატაძის (პ/ნ: 54001043579) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოქალაქე ჯამბული კუპატაძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ჯამბული კუპატაძე (პ/ნ: 54001043579) 2008 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით მოქალაქე ოჯახთან ერთად, 2008 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 3 მაისის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-308-26-19647 ოქმისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-308-26-19647 ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თაბორი რიზორთსს" (ს/კ: 405147755) საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე 297 576 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.18.01.002.160). დღეის მდგომარეობით, N01.18.01.001.002 საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების შედეგად მოქცეულია N01.18.01.002.203 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ხელშეკრულების თანახმად, ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებულ პირობებად განისაზღვრა:

ა) აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის, 6 326 495 (ექვსი მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის, სრულად გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ;

გ) სასტუმრო კომპლექსისთვის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობა;

დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულებამდე, პროექტის ფარგლებში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება (ახალი ხე-ნარგავების შერგვა), ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა. 2020 წელს ცვლილება შევიდა მითითებული ხელშეკრულებაში და ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„ბ) არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.".

2022 წლის 20 ოქტომბერს სააგენტოს განცხადებით მიმართა აუქციონში გამარჯვებულმა და აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით მან სრულად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული კეთილმოწყობისა და გამწვანების ვალდებულებები, კერძოდ, ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე მიმდინარეობს მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, დამატებით დაირგო 12000 ძირი ახალი ხე-მცენარე, კეთილმოეწყო ტერიტორია, განვითარდა სარეკრეაციო სივრცე და მოეწყო საირიგაციო სისტემა. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველის ვალდებულებას წარმოადგენდა მიეწყო სულ მცირე 50 მანქანაზე გათვლილი ავტოსადგომი და აეშენებინა არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო, აღნიშნული ტერიტორიის სრულყოფილად განვითარების მიზნით მყიდველი უზრუნველყოფს 180 ავტომანქანაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობას და 177 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობას. აქვე აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე დასრულებულია სასტუმროს შენობის კარკასის მშენებლობის პროცესი და მიმდინარეობს შენობის გარე და შიდა მოპირკეთების სამუშაოები. აუქციონში გამარჯვებულის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით არ ყოფილა განსაზღვრული განსახორციელებელი ინვესტიციის მინიმალური ოდენობა, დღეის მგომარეობით სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების მიზნით განხორციელებულია 55 000 000 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია და სამუშაოების სრულად დასრულებისთვის დამატებით იგეგმება არანაკლებ 40 000 000 აშშ დოლარის ინვესტირება.

მითითებული გარემოებებისა და ასევე, კოვიდ პანდემიით გამოწვეულ არასტაბილურ გარემოსთან თანმდევი ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამუშაოს მიმდინარეობის ეტაპზე და შესაბამისად ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულებაზე, შპს „თაბორი რიზორთსის" წარმომადგენელმა განცხადებით კვლავ ითხოვა ხელშეკრულების „ბ" პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) გაგრძელება 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება შედის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" (ს/კ: 405147755) შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-308-26-19647 ხელშეკრულებაში და ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ" პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „ბ) არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.".

მომხრე-7 თავი შეიკავა - საბა ბუაძემ,ანა გოგოლაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დასმწრე წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის“ (ს/ნ: 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტის“ (ს/ნ: 400307958) წარმომადგენელმა, მომართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.030) და ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.038) ტერიტორიებიდან 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს მიმდებარედ არსებულ: ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N6-ში მდებარე უძრავ ქონებას (ს/კ: 01.15.04.020.022), 2032 წლის 15 მარტამდე ვადით, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეებთან 2022 წლის 17 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით.

მოთხოვნილ 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19.08.22წ. N60-0122231766 წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 18.08.22წ. გადაწყვეტილება (დოკუმენტი N6084108), რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს.

შემდგომში დამატებით წარმოდგენილი QN1921973 განცხადებით, კომპანიის წარმომადგენელმა დააზუსტა კომპანიის დაინტერესებაში არსებული ტერიტორია და 128 კვ.მ. ფართობის არეალიდან ითხოვა შემცირებული ფართობის ტერიტორიის - 70 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, 5 წლის ვადით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 70 კვ.მ. მიწის ნაკვეთის არეალში მოხვედრილი, 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, საერთო წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 16800 ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლების IIა მიკრორაიონის კორპუსი N23-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.17.02.001.661 და N01.17.02.001.662) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ, იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლების IIა მიკრო/რაიონის კორპუსი N23- ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.17.02.001.661 და N01.17.02.001.662) მდებარე უძრავი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, დანართი 1-ში მითითებულ პირთათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. 9 პირს (9ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. საკუთრებაში გადაეცემათ საერთო ჯამში გადაეცემათ - 539.55 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N110-ში მდებარე 63.73 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.004.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავარტქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N110, 1 სართულზე მდებარე 63.73 (საკადასტრო კოდი:

N01.17.02.059.004.01.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე ნიკოლოზ მელქაძის (პ/ნ: 56001002922) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოქალაქე ნიკოლოზ მელქაძე (პ/ნ: 56001002922) ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება რომ მოქალაქე ნიკოლოზ მელქაძე 2007 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**